

საქართველოში გასაშვილებელი სტატუსის მქონე 220 ბავშვია, შვიდად აყვანის მსურვერი – 2813



საქართველოში გასაშვილებელი სტატუსის მქონე 220 ბავშვია, მათ შორის 153 შეზღუდული შესაძლებლობების მქონეა, 35-ს კი გაშვილება არ სურს (საუბარია 10 წლის და უფროსი ასაკის ბავშვებზე, რომელთა გაშვილება აკრძალულია მათი თანხმობის გარეშე).

სოციალური მომსახურების სააგენტოს ინფორმაციით, ამ ეტაპზე მშვიდობიანად რეესტრში 2813 მშვიდობიანად დარეგისტრირებული – ესენი არიან ადამიანები, რომლებიც აკმაყოფილებენ გასაშვილებელი ბავშვის შვიდად აყვანისთვის კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

რაც შეეხება გაშვილებულთა სტატისტიკას, 2018 წელს ქვეყანაში გაშვილდა 85 ბავშვი, მათ შორის 8 განსხვავებული საჭიროების მქონეა. მათგან საერთაშორისო შვიდად აყვანას დაექვემდებარა 5 შშმ ბავშვი.